



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-2/12148

05/12/2022

12148-15-2-2-202212051625



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წინადადება

სისხლის სამართლის N004271117006 საქმის გამომძიებლების მიმართ დისციპლინური
საქმისწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონ ვახტანგ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განიხილება მოქალაქე [REDACTED] (პ/ნ:
[REDACTED]) წარმომადგენლის, [REDACTED] (პ/ნ: [REDACTED]) N4170/21, N5344/21 და
N8804/21 განცხადებები, სისხლის სამართლის N004271117006 საქმეზე სამუშაოს
შესრულებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც მისი მარწმუნებლის [REDACTED]
[REDACTED] ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია, მიმდინარე გამომძიების
მიერ მტკიცებულებების მოპოვების დაგვიანებისა და კონკრეტული პირების მიმართ
სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურების თაობაზე.

განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი
სისხლის სამართლის N004271117006 საქმის მასალების თანახმად, გამომძიების მიერ
დროულად არ არის მოპოვებული მასალები 2016 წლის 31 მაისამდე პერიოდში შპს „[REDACTED]
[REDACTED]“ შეძენილი ჰქონდა თუ არა მრეცხავ-ოპერატორებისთვის
უსაფრთხოების დაცვის მიზნით სპეციალური ტანსაცმელი და სხვა აღჭურვილობა, ასევე,
დროულად არ არის მოპოვებული შესაბამისი შესყიდვების დამადასტურებელი
დოკუმენტაცია და მრეცხავ-ოპერატორებისთვის გადაცემის პირებები და თარიღი.
აღნიშნული მასალები გამომძიების მიერ მოპოვებულ იქნა 2021 წლის 8 ოქტომბერს, და
ისიც, მას მერე, რაც სახალხო დამცველმა ამ საკითხზე 2021 წლის 27 სექტემბერს N 15-2/9222
წინადადებით შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი მასალების თანახმად, 2016 წლის 31 მაისს შპს „[REDACTED]“ საწარმოში მრეცხავ-ოპერატორმა [REDACTED] რეზურვუარში კაუსტიკური სოდის ჩაყრის დროს, რეზურვუარიდან წყლის ამოსხმის შედეგად მიიღო სხეულის ქიმიური დამწვრობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-6 სამმართველოში 2017 წლის 27 ნოემბერს დაიწყო გამომიება სისხლის სამართლის N004271117006 საქმეზე, სამუშაოს შესრულებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც [REDACTED] ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმის გაცნობის შედეგად იკვეთება, რომ საქმის გამომდიებლები იყვნენ [REDACTED] და [REDACTED].¹

2018 წლის 26 იანვრის საინჟინრო ექსპერტიზის N000517318 დასკვნის თანახმად, „კაუსტიკური სოდის ჩაყრის დროს საქმის მასალებიდან გამომდინარე, მას [REDACTED] უნდა სცმოდა სპეცტანსაცმელი, კერძოდ უნდა ხურებოდა ქუდი, კეთებოდა სათვალე, ნიღაბი, სცმოდა რეზინის ჩექმები, სპეციალური რეზინის გრძელი ხელთათმანები, კეთებოდა რეზინის წინსაფარი. სპეცტანსაცმლით სრულყოფილად აღჭურვის გარეშე მას არ ჰქონდა აღნიშნული სამუშაოს შესრულების უფლება. უბედური შემთხვევის დროს იგი სრულყოფილად რომ ყოფილიყო აღჭურვილი ზემოაღნიშნული სპეცტანსაცმლით, მაშინ შესაძლებელია [REDACTED] არ მიეღო აღნიშნული ხარისხის დაზიანება“.²

საქმეში არსებული, [REDACTED] 2017 წლის 29 ნოემბრისა და 2018 წლის 13 იანვრის გამოკითხვის ოქმების თანახმად, მისთვის ხსენებული სპეციალური ტანსაცმელი შპს [REDACTED] „არ გადაუცია. [REDACTED] გამოკითხვის ოქმების თანახმად, მას არ უსარგებლია სპეციალური რეზინის ხელთათმანებით, წინსაფრით, სათვალით, ვინაიდან მისი მუშაობის და მის მიერ სამუშაოს შესრულებისას ტრავმის მიღების პერიოდისთვის კომპანიას არ ჰქონდა აღნიშნული სპეციალური აღჭურვილობა.

კომპანიის სხვა თანამშრომლების მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში აღნიშნულია, რომ სამუშაოს შესრულებისას გამოიყენებოდა სპეციალური დამცავი აღჭურვილობა და ასევე ცენტრალური რეცხვის სისტემის არქივიზაციის დათვალიერების ოქმზე თანდართულ ფოტოებში ჩანს აღნიშნული სპეციალური ტანსაცმელი.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია 2017 წლის 27 ნოემბერის შემდეგ და გამოძიების მიერ გონივრულ ვადაში არ იყო

¹ განმცხადებლის მიერ დამატებით წარმოდგენილი მასალების თანახმად, სისხლის სამართლის N004271117006 საქმეზე 2021 წლის 8 ოქტომბერს და შემდგომ პერიოდში საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია გამომძიებელ [REDACTED] მიერ.

² სსიპ ლეგან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 26 იანვრის N000517318 საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა.

დადგენილი, შპს „████████“ მიერ 2016 წლის 31 მაისის მდგომარეობით იყო თუ არა შეძენილი და შესაბამის თანამშრომლებზე გადაცემული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებისთვის საჭირო სპეცტანსაცმელი, კერძოდ, ქუდი, სათვალე, ნიღაბი, რეზინის ჩექმები, სპეციალური რეზინის გრძელი ხელთათმანები და რეზინის წინსაფარი.

შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო დამცველმა 2021 წლის 27 სექტემბერს N 15-2/9222 წინადადებით მიმართა.

წინადადების პასუხად, 2021 წლის 8 ოქტომბერს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ირკვევა, რომ შპს „████████“ მიერ 2014-2016 წლებში შეძენილ იქნა სხვადასხვა დასახელების რამდენიმე ერთეული სპეციალური ტანსაცმელი და გადაეცა სააპარატო საამქროს უფროსის მოადგილე █████ ვაუსტიკურ სდასთან მომუშავე პერსონალისთვის.

განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი საქმის მასალებისა და გენერალური პროკურატურის³ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სისხლის სამართლის N004271117006 საქმეზე კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. ასევე, პროკურატურის განმარტებით, გამოძიებას არ აქვს საფუძველი საქმე შეეწყვიტა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის საფუძვლით, რის გამოც გამოძიება გრძელდება.

ამრიგად, გამოძიება გრძელდება მიუხედავად იმისა, რომ გავიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა (გამოძიება დაიწყო 2018 წლის 31 მაისს. კვალიფიკაცია კი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილია).

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად“.⁴

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ გავიდა ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას“.⁵

³ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 2 მაისის N13/26227.

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 37, ნაწ. 2.

⁵ იქვე მუხ. 71, ნაწ. 1, ქვეპუნქტ. „ა“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უსაფრთხოების წესის დარღვევა სამუშაოს წარმოებისას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ⁶.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კი, „გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს, თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა“⁷.

ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ა¹“ ქვეპუნქტების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი და გადაცდომის სახეა სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება⁸.

წინამდებარე საქმის ანალიზი

სისხლის სამართლის N004271117006 საქმის მასალების თანახმად, გამოძიება არ არის წარმოებული ყოველმხრივ და სრულად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის პერიოდში არ არის ჩატარებული ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება. კერძოდ, არ იყო შესწავლილი, 2016 წლის 31 მაისის მდგომარეობით შეს „████████“ მიერ ჰქონდა თუ არა ადგილი სამუშაოს წარმოების წესის დარღვევას და იყო თუ არა გადაცემული მრეცხავ-ოპერატორის თანამდებობაზე დასაქმებული პირებისთვის უსაფრთხოების სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი სპეციალური ტანსაცმელი - რეზინის ჩექმები, გრძელი რეზინის ხელთათმანები, წინსაფარი, სათვალე, ნიღაბი, ქუდი⁹. საგულისხმოა, რომ ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის საკვანძო მნიშვნელობა გააჩნდა, რადგან თუ აღნიშნული სპეცტანსაცმელი „████████“ არ იყო გადაცემული, აშკარა იქნებოდა კომპანიის მხრიდან სამუშაოს წარმოების წესის დარღვევა.

წინამდებარე საქმის ფარგლებში გამოძიებას, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე არ შეუსწავლია, 2016 წლის 31

⁶ იქვე, მუხ. 240, ნაწ. 1.

⁷ იქვე, მუხ. 105, ნაწ. 1, ქვეპუნქტ. „ე“.

⁸ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება“, მუხ. 2, პუნქტ. 2, ქვეპუნქტ. „ა“ და „ა¹“.

⁹ აღნიშნული ინფორმაციის მობოვების მიზნით საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულ იქნა 2021 წლის 8 ოქტომბერს.

მაისის მონაცემებით, შპს „[REDACTED]“ ჰქონდათ თუ არა განხორციელებული შესყიდვები და იყო თუ არა შესაბამის თანამშრომლებზე გადაცემული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებისთვის საჭირო სპეცტანსაცმელი. წარმოდგენილი საქმის მასალებში ვერ მოიძებნა თუნდაც კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ამსახველი დოკუმენტაციის ამოღება მოცემულ პერიოდში, რომლითაც გაირკვეოდა, აღნიშნული პროდუქციის შესყიდვის საკითხი და ბრალდების მხარეს შესაძლებლობა მიეცემოდა შეეფასებინა კონკრეტული პირებისთვის ბრალდების წარდგენის შესაძლებლობა.

შესაბამისად, სისხლის სამართლის N004271117006 საქმეზე გამომდიებლებმა არ ჩაატარეს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამომიება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, რის შედეგადაც ვერ მოხდა მტკიცებულებების მოპოვება და კონკრეტული პირების ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის ობიექტურად და უტყუარად დადასტურება ან უარყოფა, რაც შესაძლებელს გახდიდა კონკრეტული პირის/პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გამოკვეთას.

დასკვნა

სისხლის სამართლის N004271117006 საქმეზე გამომდიება ნაწარმოებია არასრულყოფილად და, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, არ არის დადგენილი შპს „[REDACTED]“ მიერ ჰქონდა თუ არა ადგილი მრეცხავ-ოპერატორის თანამდებობაზე დასაქმებული პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სპეციალური ტანსაცმლის შეძენასა და დასაქმებული პირების, მათ შორის [REDACTED] გადაცემას 2016 წლის 31 მაისის მდგომარეობით, ხოლო შპს „[REDACTED]“ აღნიშნული პირობების შესრულების შემთხვევაში, [REDACTED] მიერ სამუშაოს შესრულებისას დაზიანების მიღებასთან მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება სისხლის სამართლის N004271117006 საქმეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომმიებლების [REDACTED] და [REDACTED] მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება, რაც „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ა¹“ ქვეპუნქტების თანახმად, წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ სამსახურებრივი შემოწმება სისხლის სამართლის N004271117006 საქმეზე გამომდიების წარმოებისას, საქმის მწარმოებელი გამომმიებლების: [REDACTED] და [REDACTED]

მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულების ფაქტზე.¹⁰

გთხოვთ, განხორციელებული რეაგირების შესახებ მაცნობოთ ამავე კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

ნ-


სახალხო დამცველი



¹⁰ იმ შემთხვევაში, თუ მითითებული გამომძიებლები კვლავ არიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეები.